პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი № 148 (13840) | სამშაბათი, 27 ივნისი, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.

ბრძოლისა და მიღწევათა სახელოვანი გზა

• ПРАВДА •

ჩვენი ქვეყანა დიდი ოქტომბრის 50 წლისთავს ეგებება შემოქმედებითი ძალით, ნათელი კომუნისტური მომავლის სრული რწმენით აღსავსე, ლენინური პარტიის გარშემო მჭიდროდ შეკავშირებული. ჩვენი საზოგადოების ურღვევ მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობას კვლავ დამაჯერებლად მოწმობს ის, რომ მთელი საბჭოთა ხალხი მზრუნველად იწონებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებს და აქტიურად უჭერს მხარს პარტიის საგარეო და საშინაო პოლიტიკას, ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მოქმედებას, რომლის მიზანია ისრაელის აგრესიის აღკვეთა, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისათვის, სირიისა და სხვა არაბული სახელმწიფოებისათვის მხარდაჭერა, რომლებსაც თავს დაესხნენ, საყოველთაო მშვიდობის საქმისათვის აგრესიის საშიში შედეგების თავიდან აცილება. პლენუმის გადაწყვეტილებანი განსახიერებენ პარტიის გენერალურ ხაზს, გამოხატავენ საბჭოთა ხალხის ძირეულ ინტერესებსა და ნებას.

გუშინ გამოქვეყნდა პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეზისები „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წელი", რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა მოიწონა. ამ დიდმნიშვნელოვან დოკუმენტში შეჯამებულია შედეგები საბჭოთა ხალხის გმირული გზისა ოქტომბრის გამარჯვების შემდეგ, განზოგადებულია ლენინური პარტიის ბიგანტური გამოცდილება ახალი საზოგადოების მშენებლობის ხელმძღვანელობის დარგში, განსაზღვრულია მისი განვითარების თანამედროვე ეტაპის ამოცანები.

„გასული ათწლეულების მანძილზე, — ნათქვამია ცენტრალური კომიტეტის თეზისებში, — ოქტომბრის რევოლუციის საქმემ ყოველმხრივი ისტორიული შემოწმება გაიარა, ცხადყო თავისი უძლეველი ძალა, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების წარუვალი მნიშვნელობა როგორც ჩვენი ქვეყნისათვის, ისე მთელი პლანეტის ხალხებისათვის. იგი ცოცხლობს და ზეიმობს და ამას გამოხატავს სოციალიზმის გამარჯვება და სსრ კავშირში კომუნისტური მშენებლობის მიღწევები, სოციალიზმის მსოფლიო სისტემის განვითარება, მუშათა მოძრაობის მძლავრი გაქანება, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის წარმატებანი. მარქსიზმ-ლენინიზმი გახდა მსოფლიოს ასეულ მილიონობით ადამიანის ფიქრთა მპყრობელი, კომუნისტური მოძრაობა თანამედროვეობის ყველაზე გავლენიან პოლიტიკურ ძალად გადაიქცა".

ყოველი დღე კვლავ და კვლავ უცილობლად ადასტურებს იმას, რომ სწორი და სიცოცხლისუნარიანია ოქტომბრის იდეები, რომ ეს იდეები უდიდეს გავლენას ახდენენ მსოფლიო ისტორიის მთელ მსვლელობაზე, რომ სწორია კურსი, რომლითაც მიდის საბჭოთა ხალხი პარტიის ხელმძღვანელობით.

თვალს ავლებენ რა ოქტომბრის 50 წლისთავის მწვერვალიდან ბრძოლისა და შემოქმედების განვლილ გზას, კანონიერად ამაყობენ რა სახელოვანი მიღწევებით, რომლებიც მოიპოვეს გაფურჩქნულ კლასობრივ ბრძოლებსა და შეუპოვარ შრომაში, საბჭოთა ადამიანები გამსჭვალული არიან უდიდესი ბადლიერებითა და უსაზღვრო სიყვარულით კომუნისტური პარტიისადმი, მარქს-ენგელსის საქმის დიდი განმგრძობის, გენიალური მოაზროვნის, უდრეკი რევოლუციონერის, სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებლის ვ. ი. ლენინისადმი.

ლენინის მიერ შექმნილმა და მზრუნველობით აღზრდილმა კომუნისტურმა პარტიამ შეისისხლხორცა ყოველივე პატიოსანი და აზრიანი, მამაცური და თავდადებული, რაც კი შეუძენია რევოლუციონერთა თაობებს. პარტიას ძალებს მატებდა და კვლავ მატებს მტკიცე და ფართო ურთიერთობა ხალხთან, ერთგულება მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებისადმი, რევოლუციური თეორიის დაუცხრომელი შემოქმედებითი განვითარება. იგი იცავს თანამედროვეობას გენერალური კურსისას, რომელიც დაიცავ ტროცკიზმის, წვრილბურჟუაზიული ავანტიურიზმის, მემარჯვენე ოპორტუნისტების, ნაციონალურ-უკლონისტებისა და სხვა ანტილენინური მიმდინარეობებისა და ჯგუფების წინააღმდეგ ბრძოლაში.

მსოფლიოში პირველი სოციალისტური ქვეყნის მთელი ნახევარი საუკუნის „გამოცდილებამ სავსებით დაადასტურა მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრება მუშათა კლასის, როგორც თანამედროვეობის ყველაზე მოწინავე შემოქმედებითი ძალის ისტორიული როლის შესახებ. დიადმა მიზანმა — სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენებამ — კიდევ უფრო შეაკავშირა და განამტკიცა მუშათა კლასისა და გლეხობის ურთიერთობა, დაამკვიდრა მთელი საზოგადოების იდეური ერთიანობა. სოციალიზმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ისტორიული მონაპოვარი ის არის, რომ გაიმარჯვა ლენინურმა ეროვნულმა პოლიტიკამ, ჩვენი სამშობლოს ხალხთა სოციალისტურმა ძმობამ. ახლა შექმნილია ყველა პირობა ყველა ერისა და ხალხის კიდევ უფრო მჭიდრო დაახლოებისა და ნაყოფიერი თანამშრომლობისათვის.

სოციალისტური სახელმწიფოს არსებობისა და განვითარების ისტორია აღსავსეა კომუნიზმის იდეალებისადმი საბჭოთა ხალხის უსაზღვრო ერთგულების უბრწყინვალესი მაგალითებით. პროლეტარული დიქტატურის დამკვიდრებისათვის ბრძოლაშიც, ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის მსვლელობაშიც, კულტურული რევოლუციის განხორციელებაშიც, სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის ბრძოლებშიც, ომისშემდგომ მშვიდობიან მშენებლობაშიც — საბჭოთა ხალხი მუდამ გვევლინებოდა და გვევლინება როგორც გმირი ხალხი, მშრომელი ხალხი, შემოქმედი ხალხი.

ახლა ყოველ ნაბიჯზე ვგრძნობთ, თუ რა ნაყოფი მოიტანა ირეულმა სოციალურმა გარდაქმნებმა. ჩვენი ქვეყნის ყველა მოქალაქეს უზრუნველყოფილი აქვს ფართო სოციალურ-პოლიტიკური უფლებანი და პიროვნების თავისუფლება, გაბედნიერი აქვს იმისათვის, რომ აქტიური მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო, სამეურნეო და საზოგადოებრივი საქმეების მართვაში. განუხრელად უმჯობესდება საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობა. სოციალისტური წყობილება ყოველდღიურად ცხადყოფს თავის დიდ უპირატესობებს კაპიტალიზმის სისტემის წინაშე.

ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვების შემდეგ კომუნიზმის მშენებლობაზე გადასასვლელად ყველა საჭირო წანამძღვარი შეიქმნა. თავის პროგრამაში, XXIII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის (1964 წ.) და შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებებში პარტიამ განსაზღვრა სსრ კავშირში კომუნისტური მშენებლობის ძირითადი მიმართულებანი და ამოცანები, მათი განხორციელების კონკრეტული გზები. ამ გადაწყვეტილებათა შესრულება დღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის საქმიანობის მთავარ შინაარსს შეადგენს. პარტია უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ქვეყნის მეცნიერული ხელმძღვანელობის საკითხებს და მტკიცედ ახორციელებს სახალხო მეურნეობის, ჩვენი საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური და სულიერი ცხოვრების მართვის სრულყოფის ლენინძიებებს. იგი ზუსტად იცავს ლენინურ ნორმებსა და პრინციპებს პარტიული, სახელმწიფოებრივი და იდეოლოგიური მუშაობის ყველა დარგში, სრულყოფს სოციალისტურ დემოკრატიას. პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფო სოციალიზმის გამარჯვებასთან ერთად მთელი ხალხის პოლიტიკური ორგანიზაცია ხდება, სადაც ხელმძღვანელ როლს მუშათა კლასი ასრულებს.

დიდმა ოქტომბერმა დასაბამი მისცა კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე რევოლუციურ გადასვლას მსოფლიო მასშტაბით. ოქტომბრის გამარჯვების შემდეგ უდიდესი ისტორიული მოვლენა იყო მსოფლიო სოციალისტური სისტემის შექმნა. ოქტომბრის გამარჯვებამ შექმნა თანამედროვე საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობა. ძლევამოსილად ვითარდება აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის ხალხთა მძლავრი მოძრაობა ეროვნული და სოციალური დამოუკიდებლობისათვის.

თავიანთი ინტერნაციონალური მოვალეობის ერთგული კომუნისტური პარტია, საბჭოთა ხალხი ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ კიდევ უფრო შეაკავშირონ სოციალისტური სახელმწიფოები, განამტკიცონ საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთიანობა მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპულ საფუძველზე, თანამედროვეობის მთელ რევოლუციურ ძალებთან ერთად გააჩაღონ ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალიზმისათვის. ჩვენი პარტია დაუცხრომლად და თანმიმდევრულად იცავს კომუნისტური მოძრაობის გენერალურ ხაზს, რომელიც ჩამოყალიბებულია მოსკოვის 1957 და 1960 წლების თათბირების დეკლარაციასა და განცხადებაში. მსოფლიოს კომუნისტთა ერთიანობის განმტკიცებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ევროპის კომუნისტური და მუშათა პარტიების კარლოვი ვარის კონფერენციას, რომელიც ევროპის მშვიდობისა და უშიშროების პრობლემებს მიეძღვნა.

საბჭოთა ადამიანები მტკიცედ უჭერენ მხარს ვიეტნამელ ხალხს, რომელიც გმირულ ბრძოლას ეწევა ამერიკის იმპერიალიზმის დანაშაულებრივი აგრესიის წინააღმდეგ, მხარს უჭერენ არაბულ სახელმწიფოთა ხალხების სამართლიან ბრძოლას ისრაელისა და მისი იმპერიალისტი მფარველების აგრესიული მოქმედების წინააღმდეგ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისები უდიდესი შთამაგონებელი და დამრაზმველი ძალის პოლიტიკური დოკუმენტია. ისინი შთაგონებენ საბჭოთა ადამიანებს ახალი სახელოვანი საქმეებისათვის, კიდევ უფრო განუმტკიცებენ მათ რწმენას, რომ მართალია ჩვენი დიადი საქმე, ხელს უწყობენ ხალხის აღზრდას პარტიის იდეალებისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით, საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, ბურჟუაზიული იდეოლოგიისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით.

პარტიულმა, კომკავშირულმა, პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა იზრუნონ იმისათვის, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისების შინაარსს ჩასწვდეს თვითეული მშრომელი. ბევრი რამ უნდა გააკეთონ ამისათვის პრესის, რადიოს, ტელევიზიის ორგანოებმა, პროპაგანდისტებმა, მომხსენებლებმა, პოლიტინფორმატორებმა, კულტურის დაწესებულებათა მუშაკებმა. ბეჭდვითი და ზეპირი პროპაგანდის მრავალფეროვანი ფორმები ფართოდ უნდა გამოვიყენოთ თეზისების ღრმად განმარტებისათვის.

საბჭოთა ხალხს კარგად ესმის, რომ მისი უმაღლესი ინტერნაციონალური მოვალეობა უწინარეს ყოვლისა ის არის, რომ განახორციელოს პარტიის მიერ დასახული კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის გეგმები, ბეჯითი შრომით განამტკიცოს ჩვენი სამშობლოს — მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ურყევი ბურჯის პოლიტიკური, ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერება. დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის შეჯიბრებაში ჩაბმული საბჭოთა ადამიანები მთელ ყურადღებას უთმობენ კომუნისტური მშენებლობის გადამწყვეტ უბნებს: ხუთწლედის დავალებათა შესრულებას, ეკონომიური რეფორმის განხორციელებას, შრომის ნაყოფიერების ამაღლებას, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის გადიდებას, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებას.

ოქტომბრის იდეები, კომუნიზმის იდეები ჩვენი დროის წამყვანი იდეებია, თანამედროვე ისტორიის დიადი შემოქმედებითი ძალაა. ამ იდეებით შეიარაღებული ჩვენი ხალხი, რომელიც რევოლუციური ბრძოლისა და სოციალისტური მშენებლობის უმდიდრეს გამოცდილებას ეყრდნობა, ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით მტკიცედ ადგას ახალი საზოგადოების მშენებლობის გზას. და ყოველი დღე, ყოველი წელი სულ ახალ და ახალ გამარჯვებებს მოუტანს მარქსის, ენგელსის, ლენინის მოძღვრებას, კომუნიზმის საქმეს!

26 ივნისის მოწინავე

ზაჰესი ორმოცი წლისაა



ზაჰესიც ორმოცი წლისაა. მიუხედავად ამ საპატიო ასაკისა, იგი ახლაც ჭაბუკურად გამოიყურება. საქართველოს პირველ ჩიბალდანს ვერაფერს აკლებს ჟამთა ტრიალი. თუმცა ზაჰესი ის არ არის, რაც ორმოცი წლის წინათ იყო, შეიცვალა მრავალი მისი დანადგარი, დაინერგა ავტომატიკა და საგრძნობლად შემცირდა მუშამოსამსახურეთა რიცხვი.

რესპუბლიკის პირველი დიდი ჰიდროელექტროსადგურის ზეიმზე მოვიდნენ სტუმრები თბილისიდან, ლენინგრადიდან, საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან. საზეიმო კრების მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ ჰიდროტექნიკის ვეტერანებს, რომლებიც მთელი ორმოცი წლის მანძილზე ემსახურებიან საყვარელ საქმეს. საზეიმო კრების პრეზიდიუმში არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პ. მჟავანაძე, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი რ. ი. შრუშიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გ. ი. ჩიქოვანაძე.

ზაჰესის ორმოცი წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება გახსნა პარტბიუროს მდივანმა ა. ლალიაშვილმა. მოხსენება გააკეთა სადგურის დირექტორმა ა. ხეთაგურმა. სიტყვები წარმოთქვეს ჰიდროტექნიკის ვეტერანებმა ვ. ტატუაშვილმა და ძ. ჩაჩანიძემ, ქართველ ჰიდროტექნიკოსებს შესანიშნავი ზეიმი მიულოცეს ლენინგრადის XXII პარტყრილობის სახელობის ლიათონის ქარხნის წარმომადგენელმა მ. უსტინოვმა, საქმთავარნერგოს ცენტრალური შემკეთებელი ქარხნის დირექტორმა ა. სუციშვილმა, საქმთავარენერგოს მთავარმა დისპეტჩერმა კ. გაგნიძემ.

დარბაზში მყოფთ თვალწინ წარმოუდგათ ზაჰესის სახელოვანი ისტორია. 1922 წლის 10 სექტემბერი. სერგო ორჯონიკიძის თაოსნობით მოეწყო თბილისის მუშების პირველი შაბათობა ზაჰესში, 4 ათასამდე კაცი ებრძვის კლდეთა სიჯიუტეს უბრალო ბარებითა და ძალაყინებით...

1927 წლის 26 ივნისი. ზაჰესის გახსნაზე მოვიდნენ სტუმრები რუსეთიდან, უკრაინიდან, მოვიდნენ აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, ხალხი მოვიდა საქართველოს ყველა კუთხიდან.

მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა მ. ი. კალინინმა. მან ქართველ ხალხს მიულოცა პირველი დიდი გამარჯვება ბუნების ძალებზე და გამოთქვა რწმენა, რომ აგრარული საქართველო მალე გადაიქცეოდა ინდუსტრიალურ რესპუბლიკად.

მიტინგი დამთავრდა. მ. ი. კალინინი მიდის პირველ ჰიდროტურბინასთან და ჭრის წითელ ლენტს. დადგა ისტორიული წამი, ამუშავდა ტურბინა. აკაშკაშდა თბილისი. მილიონობით ილიჩის ნათურა აინთო ყველა უბანში, შშრომელები სიამაყის გრძნობით ულოცავდნენ ერთმანეთს.

ზაჰესმა დიდი წვლილი შეიტანა ჩვენი რესპუბლიკის ინდუსტრიალიზაციის საქმეში, იგი ვაჟკაცურად იბრძოდა დიდი სამამულო ომის მრისხანე ჟამს, ზაჰესი ახლაც ვაჟკაცურად დგას ჰიდრონაგებობათა სახელოვან მწყობრში.

საზეიმო კრებაზე სიტყვა წარმოთქვა ვ. პ. მჟავანაძემ, რომელსაც გულთბილად შეხვდნენ. იგი მაღალ შეფასებას აძლევს ზაჰესის კოლექტივის მუშაობას, ულოცავს დამსახურებულ ზეიმს და უსურვებს ახალ, დიდ წარმატებებს შრომასა და პირად ცხოვრებაში.

დიდხანს ზეიმობდა წუხელ ზაჰესი.

ა. თომაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

• • •

სურათზე: ვ. ი. ლენინის სახელობის ზემოავჭალის ჰიდროელექტროსადგურის ერთი მხარე.

ფოტო ვ. ჩერკასოვისა.

ზეიმი ზემო ავჭალის ვ. ი. ლენინის სახელობის ჰიდროელექტროსადგურში

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ვ. ი. ლენინის სახელობის ზემოავჭალის ჰიდროელექტრო სადგურის მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ვ. ი. ლენინის სახელობის ზემოავჭალის ჰიდროელექტრო სადგურში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. ამირანაშვილი გიორგი ნიკოლოზის-ძე — ოსტატი.
2. გობიანიძე გიორგი ისიდორეს-ძე ოსტატი.
3. დიბლია გიორგი სიმონის-ძე — უფროსი ოსტატი.
4. ლალიაშვილი აღლექსი სოლომონის-ძე — განყოფილების უფროსი.
5. ლაფანაშვილი ვიქტორ გიორგის-ძე — საამქროს უფროსი.
6. ტორჩინავა დავით ანტონის-ძე — დირექტორის მოადგილე.
7. ქავთარაძე მიხეილ ნიკოლოზის-ძე — მორიგე ინჟინერი.
8. ჩაჩანიძე ქიტესა ალექსი-ძე — ზეინკალი.
9. ჭელიძე რუბენ მათეს-ძე — მემანქანე.
10. ხაბეიშვილი ტოგო მირიანის-ძე — ლაბორატორიის უფროსი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ქოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე
თბილისი, 1967 წლის 24 ივნისი.

საიუბილეო ვაჩარი

საქართველოს მრეწველობამ ვადამდე შეასრულა ნახევარი წლის გეგმა

დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავად გაშლილ შეჯიბრებაში რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები უმაგალითო წარმატებებს აღწევენ. მთლიანი პროდუქციისა და მეტწილ სახეობათა ნაწარმის გამოშვების ხუთწლედის მეორე წლის პირველი ნახევრის გეგმა შესრულებულია 26 ივნისისათვის.

სამრეწველო წარმოების მოცულობა შარშანდელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა, გადაჭარბებით შესრულდა შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დავალებანი. მიღწეულია წარმატებანი წარმოების გაუმჯობესების, უახლოესი ტექნოლოგიური პროცესების დანერგვის, წარმოების კულტურის ამაღლების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა დარგში.

მნიშვნელოვანი მიღწევებია მოპოვებული მანგანუმის მადნის, ნაგლინის, მინერალური სასუქების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, ავტომატიზაციის ხელსაწყოთა და საშუალებათა და მათი სათადარიგო ნაწილების, შიფერის, შალეულის, წინდის, ტრიკოტაჟის საცვლების, ტყავის ფეხსაცმლის, ხორცის, ძეხვეულის, კარაქის, მოუხდელი რძის პროდუქციის, კონსერვის, საკონდიტრო ნაწარმის, ყურძნის ღვინის, სარეცხი მანქანების, ავეჯისა და სხვა პროდუქციის წარმოებაში.

სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები დიდ მუშაობას ეწევიან დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადასვლისათვის, ემზადებიან ხუთ სამუშაო და ორ დასვენებისდღიან სამუშაო კვირაზე გადასვლისათვის.

სახელმწიფო გეგმების ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლის ავანგარდში არიან კომუნისტური შრომის კოლექტივები, წარმოების მოწინავენი და ნოვატორები.

ქალაქის სამრეწველო საწარმოთა მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ახალი შრომითი საჩუქრებით შეხვდნენ საყოველთაო სახალხო დღესასწაულს.

ქალაქ თბილისის მრეწველობამ ვადამდე შეასრულა ნახევარი წლის გეგმა

ქალაქ თბილისის მრეწველობის მშრომელებმა, რომლებმაც ფართოდ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, ვადამდე, 24 ივნისს შეასრულეს მთლიანი პროდუქციისა და მეტი წილი სახეობის ნაწარმის გამოშვების 1967 წლის ნახევარი წლის გეგმის შესრულება.

სამრეწველო წარმოების მოცულობა შარშანდელთან შედარებით 8,8 პროცენტით გაიზარდა. გადაჭარბებითაა შესრულებული შრომის ნაყოფიერების ზრდისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დავალებანი. მიღწეულია ახალი წარმატებანი ტექნიკურ პროგრესსა და მოწინავე გამოცდილების დანერგვაში, წარმოების ეფექტიანობისა და კულტურის, ამაღლებაში, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში.

ქალაქის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები, რომლებიც ახორციელებენ სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებს, დიდ მუშაობას ეწევიან დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადასვლისათვის, ემზადებიან ხუთ სამუშაო და ორ დასვენებისდღიან სამუშაო კვირაზე გადასვლისათვის.

სახელმწიფო გეგმების ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლის ავანგარდში არიან კომუნისტური შრომის კოლექტივები, წარმოების მოწინავენი და ნოვატორები.

ქალაქის სამრეწველო საწარმოთა მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ახალი შრომითი საჩუქრებით შეხვდნენ საყოველთაო სახალხო დღესასწაულს.

210.000 ტონა

ხარისხოვანი ჩაის ფოთლის ღამზადების გეგმის შესრულება

1967 წლის 25 ივნისისათვის საქართველოს სს რესპუბლიკაში

ტონობით

	მაის-ივნისის გეგმა	ფაქტიური შესრულება	შესრულების პროცენტი
აფხაზეთის			
ასსრ	17180	17089	99,5
გალის	9137	9320	102,0
ოჩამჩირის	5638	5486	97,3
გუდაუთის	1684	1514	89,9
გულრიფშის	570	611	107,2
სოხუმის	151	158	104,6
აჭარის			
ასსრ	16590	17423	105,0
ქობულეთის	12016	12245	101,9
ბათუმის	4345	4962	114,2
ქედის	229	216	94,3
მახარაძის	19440	20243	104,1
ზუგდიდის	13150	12256	93,2
წალენჯიხის	6180	6110	98,9
ლანჩხუთის	5450	5683	104,3
ბაგრატიკის	4770	4776	100,1
ჩხოროწყუს	4310	4315	100,1
ჩოხატაურის	2950	3110	105,4
ტყიბულის			
საქალაქო			
საბჭო	2235	2425	108,5
წყალტუბოს	2244	2805	125,0
წულუკიძის	2194	2222	101,3
ცხაკაიას	2073	2458	118,6
ხობის	1885	1902	100,9
სამტრედიის	648	607	93,7
აბაშის	240	301	125,4
თერჯოლის	194	264	136,1
ჭიათურის			
საქალაქო			
საბჭო	168	236	140,5
ვანის	76	87	114,5
ზესტაფონის	23	43	187,0
სულ	102000	104355	102,3
მათ შორის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საბჭოთა მეურნეობების ტრესტი	19078	19219	100,7
იყო 1966 წლის 25 ივნისისათვის	97500	118842	121,9

საქართველოს სს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო.

ლ. ი. ბრეჟნევი ამიღო კეგის რესპუბლიკის ელჩი

26 ივნისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო კუბის რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ამხ. კარლოს ოლივარეს სანჩესი. ამხ. ლ. ი. ბრეჟნევსა და ამხ. კარლოს ოლივარეს სანჩესს შორის ეგობრული საუბარი გაიმართა.

ა. ნ. კოსიგინი კუბაში გაემგზავრა

ნიუ-იორკი, 26 ივნისი. (საკადეს). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, რომელიც მეთაურობს საბჭოთა დელეგაციას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სპეციალურ სესიაზე, კუბის რესპუბლიკის მთავრობასთან შეთანხმებით, დღეს ნიუ-იორკიდან ჰავანაში გაფრინდა.

ფესტივალი დამთავრდა

ბევრი ახალი, საინტერესო რამ ნახეს თბილისელებმა თვითმოქმედი ხელოვნების რესპუბლიკური ფესტივალის კონცერტებზე, რომელიც ოქტომბრის 50 წლისთავს მიეძღვნა.

24 ივნისს ხალხური ტალანტების ამ დღესასწაულის დასკვნით საღამოს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე გამოვიდნენ **თბილისისა** და **რუსთავის** მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები.

ხუთი საუკეთესო მხატვრული კოლექტივი ჩამოიყვანა დათვალიერებაზე რუსთავმა.

აღორძინებულ მინდვრებს, ახალ გზაფხულს, ქართველ მეტალურგთა და ქიმიკოსთა ახალგაზრდა სოციალისტურ ქალაქს უმღერა **ქალაქის კულტურის სახლის გუნდმა** (ხელმძღვანელი — მ. აბაშიძე, დირიჟორი — ჯ. კიხწურაშვილი).

ცეცხლოვანი გურულ-აჭარული ცეკვები წარმოადგინა **ქალაქის ცეკვის ანსამბლმა** რესპუბლიკის სახალხო არტისტის გ. დარახველიძის ხელმძღვანელობით.

თავიანთი ოსტატობა აჩვენეს ავრეთვე ქალაქის **კულტურის სახლის სიმებიანმა ანსამბლმა** და რუსთავის **საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალური მეურნეობის განყოფილების საესტრადო ორკესტრმა.**

კონცერტის მეორე და მესამე განყოფილება დაეთმო **თბილისის** კოლექტივებს.

საზეიმოდ ელერდა რ. ლაღიძის „კანტატა ლენინზე". იგი შესასრულეს **სამგზავრო ტრანსპორტის საქალაქო სამმართველოს გუნდმა** (ხელმძღვანელი — დ. კვაჭანტირაძე) და **თბილისის უნივერსიტეტის სიმფონიურმა ორკესტრმა** (დირიჟორი — რესპუბლიკის სახალხო არტისტი ვ. ფალიაშვილი).

საქართველოს დედაქალაქში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ისტორიული მომენტი ქორეოგრაფიულ სიუიტაში „თბილისზე ფრიალებს წითელი დროშა განასახიერეს **თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კეთილმოწყობის სამმართველოს საცეკვაო ანსამბლის** მონაწილეებმა (მხატვრული ხელმძღვანელი და ქორეოგრაფი — ო. პაპიაშვილი). ორიგინალური იყო მონტაჟი „მუსიკალური მატიანე", რომელიც შესასრულა **სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის საესტრადო ორკესტრმა** (ხელმძღვანელი — ლ. მუჯირი).

მასობრივი ცეკვა „ფერხული" წარმოადგინა **საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს ცეკვის ანსამბლმა** (ხელმძღვანელი რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე — მ. კობეშავიძე, ქორეოგრაფი — გ. კობეშავიძე).

გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „ქებათა ქება ნიკორწმინდას" შთამაგონებლად წაიკითხა უნივერსიტეტის სტუდენტმა ნ. კვაკაძემ.

შ. მშველიძის „სიმღერა სამშობლოზე" შესასრულა **საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის** გუნდმა (ხელმძღვანელი — ი. კუბლაშვილი).

ფანტაზია რევოლუციური სიმღერების თემებზე შესასრულეს **დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის თვითმოქმედების მონაწილეებმა** ბ. ბელობოკმა, ი. ბელობოკმა, ა. ვინიკიმ.

თვითმოქმედი ხელოვნების ფესტივალის დასკვნითს დღეს გამოვიდნენ ავრეთვე **მასწავლებლის სახლის კაპელა,** ი. **ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლის ქორეოგრაფიული ანსამბლი, ცენტრალური უნივერმაღის ქალთა ვოკალური ჯგუფი, პირველი სამკერვალო ფაბრიკის** გუნდი და სხვა კოლექტივები.

კონცერტს დაესწრნენ ამხანაგები: **ვ. პ. მჟავანაძე, დ. გ. სტურუა, რ. ი. ფრუიძე, შ. ი. ჭანუყვაძე, ი. ი. ლოლაშვილი.** (საქდესი).

პირველი ზღუდე აღებულია

ივნისში გეგმის გადამეტებით იქნება 800 ტონა ჩაის ფოთოლი — გვპირდებიან ქობულეთელები

არაჩვეულებრივი ამინდის გამო გამოწვეული დანაკლისის ანაზღაურება ქობულეთელებმა ძალიან მცირე დროში შეძლეს. თავდადებული შრომის შედეგად მეჩაიეებმა სასახელოდ აიღეს პირველი ზღუდე. **22 ივნისის ჩათვლით მოკრეფეს და მრეწველობას ჩაბარეს 12.046 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ნაცვლად 12.016 ტონისა, რაც მაის-ივნისის გეგმის 100,2 პროცენტს შეადგენს. წლიური გეგმა კი შესრულებულია 51,1 პროცენტით.**

მაის-ივნისის გეგმებისა და მოსავლიანობის გადიდებაში თავი ისახელეს **ზენეთის, ხალის, ჩაისუბნის, ბობოყვათის, ხუცუბნის, ქაქუთის, ღელვას, გვარას, ქედა აპყვის, კვირიკეს, ქვედა ულიანოვკის** კოლმეურნეობების მშრომელებმა და **ჩაქვის, ცეცხლაურის, ციხისძირის, ჯიხანჯურის** საბჭოთა მეურნეობების კოლექტივებმა.

გაავრცელოთ მასებში მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე იდეები

ლამოპარდა პროპაგანდისტთა საქმიანი შეხვედრების კვირეული

26 ივნისს დამთავრდა ლენინგრადისა და საქართველოს პროპაგანდისტთა საქმიანი შეხვედრების კვირეული, რომელიც მოაწყვეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილებამ და პოლიტიკური განათლების რესპუბლიკურმა სახლმა. საქმიანი შეხვედრების კვირეულში მონაწილეობდნენ ლენინგრადელი პროპაგანდისტები სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის ე. ზაზერსკის მეთაურობით.

შვიდი დღის მანძილზე ლენინგრადელი და ქართველი პროპაგანდისტები ერთმანეთს უზიარებდნენ პროპაგანდისტული მუშაობის გამოცდილებას, ეცნობოდნენ პარტიული ორგანიზაციების მუშაობას მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე მოძღვრების შესწავლის დარგში. ისინი მონაწილეობდნენ პარტიული პროპაგანდის მეთოდიკისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესიის მუშაობაში, ლენინგრადელი პროპაგანდისტებისა და ქალაქ თბილისის კალინინის რაიონის პროპაგანდისტთა შეხვედრაში. საქართველოს პროპაგანდისტთა მეორე რესპუბლიკურ შეკრებაში.

25 და 26 ივნისს ლენინგრადელი პროპაგანდისტები რესპუბლიკის პროპაგანდისტებთან ერთად ეცნობოდნენ საქართველოს პარტიული ორგანიზაციების მუშაობის პრაქტიკას. (საქდესი)

საქართველოს პროპაგანდისტთა მეორე რესპუბლიკური შეკრება

საქართველოს პროპაგანდისტთა მეორე რესპუბლიკური შეკრებაზე გაიმართა დიდი სჯა-ბაასი გასული სასწავლო წლის შედეგების შესახებ პარტიული განათლების სისტემაში, მომავალ სასწავლო წელს რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ, პროპაგანდისტთა როლისა და იმ დიდი მოწოდების შესახებ, რომ მისაწვდომი ფორმით გაავრცელონ მასებში მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე იდეები.

შეკრებაზე აღინიშნა, რომ ამჟამად მთელი მსოფლიოს საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელი პლენუმის გადაწყვეტილებანი.

პლენუმმა გამოსცა ყველა საბჭოთა კომუნისტის, მთელი საბჭოთა ხალხის ნება. პლენუმის მიერ მოწონებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისები დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისათვის საფუძვლად უნდა დაედოს მთელ პროპაგანდისტულ და მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას, უნდა იყოს ხალხის იდეური აღზრდის მძლავრი საშუალება.

თანამედროვე პირობებში პარტიის პროპაგანდისტული მუშაობა ეყრდნობა ისეთ მძლავრ საშუალებებს, როგორიცაა პრესა, რადიო, ტელევიზია, კინო. მაგრამ, ისევე როგორც წინათ ამ მუშაობისათვის აუცილებლად საჭიროა პარტიული პროპაგანდისტის ცოცხალი, მართალი სიტყვა.

პროპაგანდისტი აქტიურად აბამს მსმენელს პარტიის პოლიტიკის რთული საკითხების განხილვაში, ეხმარება ღრმა გააზრებით მოკვიდოს მას, უფრო აქტიურად განახორციელოს იგი. პროპაგანდისტი, რომელიც განმარტავს პარტიის პოლიტიკას და მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებს ავრცელებს მასებში, იყო და არის ცენტრალური ფიგურა.

იყო პარტიული პროპაგანდისტი, აღნიშნავდნენ შეკრების მონაწილენი, — ეს დიდი პატივი, მოწოდება და დიდი პასუხისმგებლობაა.

მარქსიზმ-ლენინიზმის ღრმად და შემოქმედებითად შესწავლის საჭიროება განპირობებულია შეურიგებელი ბრძოლით, რასაც ჩვენი პარტია ეწევა რევოლუციური თეორიის სიწმინდისათვის, რევიზიონიზმის, დოგმატიზმის, ნაციონალისტური გამოვლინებებისა და მარქსიზმის სხვა დამახინჯებათა წინააღმდეგ, კომუნისტთა ინტერნაციონალური ერთობის განმტკიცებისათვის მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი მოძღვრების საფუძველზე, იმ გეზის საფუძველზე, რომელიც კოლექტიურად შეიმუშავა მსოფლიო კომუნისტურმა მოძრაობამ. პარტია და ხალხი რევოლუციურ თეორიაში პოულობენ ახალ ძალებს ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობისათვის.

გასულ სასწავლო წელს პოლიტიკურ განათლებაში მთავარი ყურადღება ეთმობოდა სკკპ ისტორიის, მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის, პოლიტიკური ეკონომიის, პოლიტიკური ცოდნის საფუძვლების შესწავლას. პარტიული განათლების მწყობრი სტრუქტურა, რომელშიც შედის დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი რგოლები, თითოეულ კომუნისტს აძლევს შესაძლებლობას თანმიმდევრულად შეიძინოს და გაიღრმაოს ცოდნა მარქსიზმ-ლენინიზმის ცალკეულ დარგში, უზრუნველყოფს სკკპ წევრებისა და სკკპ წევრობის კანდიდატების განუწყვეტელ იდეურ ზრდას.

1966-1967 სასწავლო წელს რესპუბლიკის პარტიული სწავლების სისტემაში გაერთიანებული იყო 243.826 კაცი. მუშაობდა 6.369 დაწყებითი პოლიტსკოლა, 3.480 მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლა, 85.987 მეთოდოლოგიური, თეორიული და პრობლემური სემინარი, 6 მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტი. მნიშვნელოვნად გაიზარდა იმ კომუნისტთა რიცხვი, რომლებიც მუშაობენ პარტიული განათლების სისტემაში. მსმენელთა საერთო რაოდენობის 80 პროცენტზე მეტს სკკპ წევრები შეადგენენ.

წლითიწლობით იზრდება იმ პირთა რიცხვი, რომლებიც დამოუკიდებლად ეუფლებიან მარქსისტულ-ლენინურ თეორიას. სხვადასხვა სემინარებში გაერთიანებული იყვნენ და დამოუკიდებლად მუშაობდა წიგნზე ათასობით კომუნისტი და უპარტიო.

მნიშვნელოვნად გაუჯობესდა ხელმძღვანელი პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული და სამეურნეო მუშაკების სწავლა. რესპუბლიკაში შეიქმნა 65 პარტიულ-სამეურნეო აქტივის სკოლა, ხოლო: მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტებთან შეიქმნა პარტიულ-სამეურნეო აქტივის ოთხი ფაკულტეტი. სწავლის ყველა ამ რგოლში იდეურ-თეორიულ დონეს იმაღლებს 5 ათასამდე ხელმძღვანელი მუშაკი.

პარტიული სწავლების სისტემის სკოლებისა და სემინარების მსმენელთა დიდი ნაწილი გულმოდგინედ ემზადება მეცადინეობისათვის, სწავლობს პოლიტიკურ ლიტერატურას, აქტიურად მონაწილეობს თეორიული საკითხების განხილვაში. კომუნისტებს უვითარდებათ შინაგანი თვითდისციპლინა, მუდმივი მოთხოვნილება შეიგისონ ცოდნა, მიმართონ ვ. ი. ლენინის ნაწარმოებებს.

მოხდა თვისებრივი ცვლილებანი პროპაგანდისტული კადრების შემადგენლობაში. ახლა პროპაგანდისტთა დიდ უმრავლესობას აქვს უმაღლესი ან დაუთავგრებული უმაღლესი განათლება. მთელ ჩვენს რესპუბლიკაში ცნობილი არიან მოწინავე პროპაგანდისტები მიხეილ სააკაშვილი, შალვა გურაბანიძე, ვლადიმერ ჩლაიძე, მარიამ აღეკსანდროვა, აღექსანდრე ლალიაშვილი, ვლადიმერ ლომიძე, ილია თავაძე, ვარტაკეს ტატიშიანი, თინა ბახტაძე, ანიკო დარჩია, არსენ ნოზაძე, ზანაიდა ფიფია, ალბერტ რეხვიაშვილი, მიხეილ სოფრომაძე, ივანე ცარციძე და ბევრი სხვა.

პარტიული სწავლების სისტემაში, აღნიშნეს შეკრების მონაწილეებმა, შესამჩნევი გაცოცხლება გამოიწვია უწინარეს ყოვლისა იმან, რომ ძირეულად გაუჯობესდა თეორიული და განსაკუთრებით მეთოდური მუშაობა პროპაგანდისტთა კადრებთან.

ნამდვილი მეთოდური ცენტრი გახდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის პოლიტიკური განათლების რესპუბლიკური სახლი. მას მჭიდრო კავშირი აქვს პოლიტიკური განათლების ადგილობრივ სახლებთან და კაბინეტებთან, პირველად პარტიულ ორგანიზაციებთან, სწავლობს, განაზოგადებს და აგროცელებს მოწინავე გამოცდილებას, ზრუნავს საუკეთესო პროპაგანდისტთა წახალისებისათვის.

პროპაგანდისტთა კარგი თანაშემწე და მრჩეველი გახდა ჟურნალი „მეთოდური ბიულეტენი“, რომელიც საზოგადოებრივ საწყისებზე გამოდის. ჟურნალში ხშირად იბეჭდება მოსკოვის, ლენინგრადის, ბაქოს, ერევნისა და სხვა ქალაქების პროპაგანდისტთა სტატიები. მათი აზრები და წინადადებანი დიდად ეხმარება საქართველოს პროპაგანდისტებს ოსტატობის სრულყოფაში.

გამოცოცხლდა და გაუჯობესდა რესპუბლიკის პოლიტიკური განათლების სახლეობისა და კაბინეტების მუშაობა. 65 რაიონში გაიმართა მეთოდური კოსფერენციები. ბევრი შემოქმედებითი თათსნობა ვლინდება ქალაქ თბილისის რაიკომების პოლიტიკური განათლების კაბინეტების, პარტიის აფხაზეთისა და აჭარის საოლქო კომიტეტების პოლიტიკური განათლების სახლების საქმიანობაში.

პარტიის ახალციხის რაიკომის პროპაგანდის განყოფილებამ და პოლიტიკური განათლების კაბინეტმა დაიწყეს გაზეთ-ბიულეტენის გამოშვება პროპაგანდისტთა, მომხსენებელთა და კონსულტანტთა დასახმარებლად. მოწინავე პროპაგანდისტული გამოცდილების განზოგადების ახალი საყურადღებო ფორმები გამონახეს თბილისსა და ბორში, ლაგოდეხსა, შუახევის, საგარეჯოს, ასპინძისა და სხვა რაიონებში. მთელ რესპუბლიკაში დაუჭირეს მხარი თეთრწყაროელთა საყურადღებო ინიციატივას — მოაწყონ ლენინური კუთხეები. მოწინავე გამოცდილების პროპაგანდა კარგად მოაწყვეს პარტიული სწავლების ქსელში პარტიის ჭიათურისა და ტყიბულის საქალაქო კომიტეტების პოლიტიკური განათლების კაბინეტებმა.

ამ ბოლო წლებში დიდი ყურადღება ეთმობა პროპაგანდისტთა მორალური წახალისების საკითხებს, რაც მათი კეთილშობილური და რთული შრომისადმი პატივისცემის სულისკვეთებით ადამიანთა აღზრდის ერთ-ერთი საშუალებაა.

პარტიული სწავლების სისტემაში დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო დაწყებითი პოლიტიკური სკოლების კურსდამთავრებულთა პირველი გამოშვება. საქართველოში მსმენელთა უმრავლესობამ წარმატებით გაიარა დაწყებითი პოლიტიკური განათლების პირველი ეტაპი. ზოგიერთ პარტიულ ორგანიზაციაში პოლიტსკოლების გამოშვება მოიწყო საზეიმო ვითარებაში, კურსდამთავრებულებს გადაეცათ დაწყებითი რგოლის კურსის გავლის მოწმობები. ორგანიზებულად მოეწყო გამოშვება თბილისის დიმიტროვის სასელობის, კიროვის სასელობის ქარხნებში, ამრეშუმსაქსოფ ფაბრიკაში, ამბროლაურის, ბოლნისის, გეგეჭკორის, ჯავის, ლენტეხის, მახარაძის, თეთრი წყაროს, სამტრედიის, ცაგერის, ზოხატაურის, შუახევის რაიონებში, სოხუმში, ბათუმში, ცხინვალში, ჭიათურაში, ფოთში და სხვა ქალაქებში.

ამასთანავე შეკრებაზე აღინიშნა კომუნისტთა და უპარტიო აქტივის პოლიტიკური სწავლის ორგანიზაციაში არსებული ნაკლოვანებანი. ეს უწინარეს ყოვლისა იმით ვლინდება, რომ სწორად არ ეკიდებიან პარტიული განათლების სისტემის დაკომპლექტებას. ზოგან ჯერ კიდევ ვერ აფასებენ ჯეროვნად პროპაგანდისტულ შრომას. პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების ზოგიერთი მდივანი ჯეროვნად არ ზრუნავს პროპაგანდისტისათვის. შეკრებაზე მოიყვანეს მაგალითები, რომ ზოგიერთ პროპაგანდისტს აქვს სამი, ოთხი და ზოგჯერ ხუთი დავალებაც. ასეთ პირობებში პროპაგანდისტი, რა თქმა უნდა ვერ უზრუნველყოფს მუშაობის მაღალ დონეს.

პროპაგანდისტებს ყველა საჭირო პირობა უნდა შეეკმნათ ნაყოფიერი მუშაობისათვის. უფრო რეგულარულად და გააზრებულად უნდა მოვაწყოთ პროპაგანდისტთა მუდმივმოქმედი სემინარების მეცადინეობა. ასეთი მეცადინეობა უნდა გაიმართოს თვეში ერთხელ მაინც. გადაჭრით უნდა გავუმჯობესოთ პროპაგანდისტთა კადრების შერჩევისა და მომზადების საკმე, აგრეთვე უზრუნველყოთ ისინი სრულფასოვანი სასწავლო გეგმებითა და პროგრამებით. მათს შემუშავებაში უნდა ჩაერთვნათ უმაღლესი სასწავლებლების საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრები. საჭიროა აგრეთვე უფრო ფართოდ ჩაგვნათ სამეცნიერო ინტელიგენცია უშუალო პროპაგანდისტულ მუშაობაში. სამწუხაროდ, აღინშნეს შეკრების მონაწილეებმა, ბევრი უმაღლესი სასწავლებელი და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი განზე უდგას ამ საქმეს.

საჭიროა აგრეთვე უზრუნველყოთ ხელმძღვანელი კადრების უფრო აქტიური მონაწილეობა პროპაგანდისტულ მუშაობაში. შეკრების მონაწილეებმა მოიყვანეს პარტიის ზოგიერთი რაიკომისა და საქალაქო კომიტეტის სასარგებლო მუშაობის მაგალითები. მაგალითად, პარტიის ქალაქ თბილისის 26 კომისრის სასელობის რაიკომისა და რაიადმასკომის, პარტიის ტყიბულისა და ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტების ყველა ხელმძღვანელი მუშაკი ჩაბმულია პროპაგანდისტულ მუშაობაში.

განვლილ სასწავლო წელს პროპაგანდისტებმა და მსმენელებმა საკმაოდ მიიღეს სახელმძღვანელოები ყველა დისციპლინაში დაწყებითი და საშუალო რგოლებისათვის. მაგრამ ზოგიერთმა პარტიულმა ორგანიზაციამ სრულებითაც არ იზრუნა საჭირო სახელმძღვანელოების შემეწევაზე.

დადებითი ძვრები მოხდა კომკავშირულ პოლიტგანათლებაში. აქაც მთავარი ყურადღება ეთმობა მარქსისტულ-ლენინური თეორიის საკითხებს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის, ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის, პარტიისა და საბჭოთა ხალხის რევოლუციური და შრომითი ტრადიციების, კომკავშირის ისტორიის შესწავლას. პოლიტიკური განათლების რესპუბლიკურ სახლში მუშაობს კომკავშირული განათლების მეთოდური საბჭო. საბჭოს ინიციატივით ქართულ ენაზე ითარგმნა და გამოვიდა პროგრამები კომკავშირული განათლების ქსელისათვის. უნდა გავაძლიეროთ პარტიულ ორგანიზაციათა კონტროლი კომკავშირული პოლიტგანათლების ქსელისადმი, გავუწიოთ ყოველდღიური დახმარება, ავამაღლოთ იგი კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპისა და პარტიის საქმისადმი, ლენინის საქმისადმი უანგარო ერთგულების სულისკვეთებით ჩვენი ახალგაზრდობის აღზრდის ამოცანების დონემდე.

დამთავრდა სასწავლო წელი პარტიული განათლების სისტემაში. შეჯამებულია პირველი შედეგები. დადგა საზაფხულო პერიოდი. მაგრამ, როგორც შეკრებაზე თქვა, ეს როდი ნიშნავს, რომ პროპაგანდისტებმა არაფერი არ უნდა გააკეთონ. ზაფხულის დრო ინტენსიურად უნდა გამოვიყენოთ იმისათვის, რომ მოვამზადოთ ეკონომიკის დარგის პროპაგანდისტთა კადრები, აუჩქარებლად, მოფიქრებულად დავაკომპლექტოთ ქსელი, ყოველნაირად მოვემზადოთ ახალი სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყებისათვის.

პოლიტიკური განათლება კომუნისტური აღზრდის დიდმნიშვნელოვანი საშუალებაა. რთული და მრავალფეროვანი პროცესია საზოგადოების წევრთა აღზრდა მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიისა და მორალის სულისკვეთებით.

სკკპ XXIII ყრილობამ მთელი ძალით აღნიშნა, რომ კომუნისტური მშენებლობის ეგოიზმთან, ბურჟუაზიულ-ბორგელ ფირის დამოკიდებულებასთან ბრძოლა, ეროვნულ-პოლიტიკური მოშარის აღაჩენისა და დონეზე. საქართველო, რომ თითოეულ საქართველოს ადამიანს ღრმად ესმოდეს — მსოფლიო — გავლენარების მაგალითობა და პერსპექტივები, სწორად ერკვეოდეს ამბებში, რომლებიც ხდება ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო ასპარეზზე, შეგნებულად აგებდეს ცხოვრებას კომუნისტურად.

პარტიული განათლება, პარტიული და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მრავალმხრივი აღმშრდელობითი და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა მიზნად ისახავენ საბჭოთა ადამიანებს გამოუმუშაონ მეცნიერულ-მატერიალისტური შეგნება.

პარტიული განათლების ძირითადი პრინციპები უწინარეს ყოვლისა არის მაღალი კომუნისტური იდეურობა, ღრმა მეცნიერულობა და სიმართლე და ფართო ორგანული კავშირი ცხოვრებასთან, შეურიგებლობა მარქსიზმ-ლენინიზმის მტრული თეორიებისა და შეხედულებებისადმი. პარტია გვასწავლის, რომ ეს მუშაობა ვაწარმოოთ გარკვეული სისტემით და თანამიმდევრულად, მიზანდასახულად, დიფერენციერებულად, გავითვალისწინოთ ადამიანის მომზადების დონე, ცხოვრების გამოცდილება, ასაკობრივი, ეროვნული და სხვა თავისებურებანი, სულიერი მოთხოვნილებანი.

პარტიული განათლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპი ის არის, რომ თეორიას ორგანული კავშირი აქვს ცხოვრებასთან, საზოგადოებრივ პრაქტიკასთან. როცა ყოველი სასწავლო წლის დამლევს ვსწავლობთ რესპუბლიკის პარტიული განათლების პრაქტიკას, აღნიშნეს მომხსენებელმა და შეკრებაზე გამოსულმა ორატორებმა, ხშირად შეიმჩნევა ორი უკიდურესობა: ერთი მხრივ თეორიული სწავლება სავსებით მოწყვეტილი ცხოვრების საჭირობოროტო საკითხებს, როცა მეცნიერების ესა თუ ის პრობლემა ახლიდან განსენებულად, და დაკავშირებული არ არის საზოგადოების განვითარების მოთხოვნებთან, როცა არ ცდილობენ თეორიული დებულებანი მიუყენონ კონკრეტული მოვლენებისა და ფაქტების ანალიზს; მეორე მხრივ, სწორხაზოვნად, ცალმხრივად და ამიტომ მცდარად ვსმით ხოლმე თეორიისა და პრაქტიკული საქმიანობის ურთიერთკავშირი.

თეორიისა და პრაქტიკის ორგანული კავშირი გულისხმობს უფრო მეტს, ვიდრე მოწყვეტილი, განცალკევებული ფაქტებისა და მაგალითების პროპაგანდისტული იილუსტრაცია. მსმენელთა წინაშე და პროპაგანდისტის ყოველ გამოსვლაში აზრისა და საქმის ბუნებრივი შეხამება ოსტატობა, რომელსაც უნდა ვეუფლებოდეთ ბეჯითად მთელი საქმიანობის მანძილზე.

ბურჟუაზიული და სოციალისტური იდეოლოგიის ბრძოლა საბჭოთა საზოგადოების სულიერი ცხოვრების განვითარების ძირითადი კანონზომიერებაა. პროპაგანდისტის ვალია ღრმად დასაბუთებული, არგუმენტირებული მეცნიერული კრიტიკის მახვილი მიმართოს რეაქციული ბურჟუაზიული თეორიების წინააღმდეგ, ანტიკომუნისტის ყველა ფორმის წინააღმდეგ, ამ მიზნით გამოიყენოს, რა თქმა უნდა შეძლებისამებრ, თითოეული მეცადინეობა, თითოეული ლექცია და საუბარი. რესპუბლიკის ყველა პარტიული ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა შეურიგებლად იბრძოლოს ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ, აგრეთვე რევიზიონიზმის, დოგმატიზმისა და სექტანტობის წინააღმდეგ.

(საქდესი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

ეკონომიური ექსპერიმენტი კოლმეურნეობაში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა თათბირი, რომელიც მიეძღვნა კოლმეურნეობაში ეკონომიური ექსპერიმენტის ორგანიზაციას კიბერნეტიკისა და ეკონომიკის მეცნიერების უახლეს მიღწევათა გამოყენების საფუძველზე. თათბირში მონაწილეობა მიიღეს სამეცნიერო დაწესებულებათა წარმომადგენლებმა, წამყვანმა სპეციალისტებმა, სამინისტროთა და უწყებათა მუშაკებმა.

თათბირმა მოისმინა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტის დირექტორის, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის ვ. ჭავჭანიძის მოხსენება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო წარმოების ოპერატიული მართვისა და დაგეგმვის სისტემის შესახებ, რომელიც მეცნიერებმა შექმნეს.

კიბერნეტიკოსებმა შეიმუშავეს სპეციალური ქსელური გრაფიკი, რომელიც საშუალებას იძლევა საუკეთესოდ გაანაწილონ წარმოების რესურსები, შეაფასონ მთელი მეურნეობის მდგომარეობა მუშაობის ყოველ ეტაპზე, რამდენიმე თვით ადრე გამოავლინონ შესაძლო ჩავარდნები, ტექნიკისა და მუშახელის ნაკლებობა — ე. ი. წარმოების „ვიწრო ადგილები“, წინასწარ იხმარონ ღონისძიებანი სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ნაკლოვანებათა ლიკვიდაციისათვის.

ამ სისტემის დასანერგავად საჭიროა კოლმეურნეობებში გაეხორციელდეს წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა, სხვანაირად რომ ვთქვათ, მოეწყოს ეკონომიური ექსპერიმენტი.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ოპერატიული მართვისა და დაგეგმვის სისტემის გამოცდასას ქართველი კიბერნეტიკოსების მიერ მიღწეული შედეგები მოითხოვენ როგორც მეცნიერული კვლევის, ისე პრაქტიკული მუშაობის შემდგომ გაფართოებას, დაზუსტებასა და გაღრმავებას.

თათბირმა მოიწონა მეცნიერთა წინადადება მოეწყოს ეკონომიური ექსპერიმენტი რესპუბლიკის ერთ-ერთ კოლმეურნეობაში და დაავალა მათ მოაწოდონ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს ინფორმაცია შესრულებულ სამუშაოთა შედეგების შესახებ. (საქდესი).

ა. ნ. კოსიგინის შეხვედრა

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ლ. ჯონსონთან

25 ივნისს ქალაქ გლასბოროში, ნიუ-იორკის ახლოს გაიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის მეორე შეხვედრა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ლ. ჯონსონთან.

ისევე როგორც პირველ შეხვედრაზე, რომელიც 23 ივნისს მოეწყო, აზრთა გაზიარება ეხებოდა მთელ რიგ საერთაშორისო პრობლემებს.

ახლო აღმოსავლეთში შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით მხარეებმა გააშუქეს თავიანთი შესაბამისი პოზიციები. საბჭოთა მხარემ განაცხადა, რომ ახლა მთავარია მივაღწიოთ იმას, რომ ისრაელმა, რომელმაც მოახდინა აგრესია არაბული სახელმწიფოების წინააღმდეგ, დაუყოვნებლივ გაიყვანოს ჯარები დაზავების ხაზს იქით. ეს საკითხი მთავარი საკითხია ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის აღდგენისათვის. იგი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სესიის ყურადღების ცენტრშია და დადებითად უნდა გადაიჭრას დაუყოვნებლივ.

ვიეტნამის პრობლემაზე აზრთა გაზიარებამ კვლავ გამოავლინა საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციების ღრმა წინააღმდეგობა. საბჭოთა მხარემ ხაზი გაუსვა, რომ ვიეტნამის პრობლემის მოწესრიგება შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, თუ შეწყდება ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიის დაბომბვა და ამერიკის ჯარებს გაიყვანენ სამხრეთ ვიეტნამიდან.

ორივე მხარემ დაადასტურა, რომ საჭიროდ მიაჩნიათ რაც შეიძლება მალე შეთანხმდნენ ატომური იარაღის გაუვრცელებლობის საერთაშორისო ხელშეკრულების დადების შესახებ. საუბრის დროს მხარეებმა ზოგადად მიმოიხილეს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ორმხრივი ურთიერთობის მდგომარეობა.

მთლიანად ამ შეხვედრებმა შესაძლებლობა მისცეს საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებს შეედარებინათ თავიანთი პოზიციები განხილულ საკითხებში, რაც ორივე მხარის აზრით სასარგებლოა. (საკდესი).

ა. ნ. კოსიგინის შეხვედრები ნიუ-იორკში

ნიუ-იორკი, 24 ივნისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა მიიღო ალჟირის საგარეო საქმეთა მინისტრი ბუტეფლიკა, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ჩაგლიანგილი, ტუნისის საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივანი ჯ. ბურგიბა, მაროკოს მეფის პირადი წარმომადგენელი ბალაფრეჯი.

საუბრები შეეხებოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სესიის მუშაობის საკითხებს. (საკდესი).

ა. ნ. კოსიგინმა მიიღო პრეზიდენტი ატასი

ნიუ-იორკი, 26 ივნისი. (საკდესი). საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სესიაზე, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა დღეს მიიღო სირიის პრეზიდენტი ნურედინ ატასი და მეგობრულად ესაუბრა მას.

ნ. ვ. პოდგორნის პრეზიდენტობა

გაერთიანებული რესპუბლიკის

25 ივნისს მოსკოვში დაბრუნდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, რომელიც მეგობრულ ვიზიტად იყო არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში.

სამშობლოში მომავალმა ნ. ვ. პოდგორნიმ იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის ი. ბროზ ტიტოს თხოვნით გამოიარა ბრეინის კუნძულზე. ნ. ვ. პოდგორნისა და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტს შორის გაიმართა საუბარი, რომელიც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა. (საკდესი).

ნ. ვ. პოდგორნის პრეზიდენტობა

გაერთიანებულ რესპუბლიკაში

ყოფნის შესახებ

1967 წლის 21-24 ივნისს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტის გამალ აბდელ ნასერის მიწვევით არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში მეგობრულ ვიზიტად იყო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ნ. ვ. პოდგორნისა და მის თანმხლებ პირებს გულითადი სტუმართმოყვარეობით შეხვდნენ, რაც მოწმობს, რომ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ხალხი მეგობრული გრძნობებით ეკიდება საბჭოთა კავშირის ხალხებს. ნ. ვ. პოდგორნიმ დიდი მადლობა გადაიხადა გულითადი მასპინძლობისათვის. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტ გ. ა. ნასერს შორის გაიმართა შეხვედრები და საუბრები, რომლებმაც ძმური ურთიერთგაგებისა და იმ ტრადიციული მეგობრობის სულისკვეთებით ჩაიარეს, რომელიც ამ ორ ქვეყანას შორის არსებობს.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მხრივ მოლაპარაკებებში მონაწილეობდნენ: ვიეცე-პრეზიდენტები ზაქარია მოჰი ედ-დინი და ალი საბრი, საგარეო საქმეთა მინისტრი მაჰმუდ რიადი და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი გენერალი მ. ფაზი.

საბჭოთა კავშირის მხრივ მოლაპარაკებებში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, საბჭოთა კავშირის მარშალი მ. ვ. ზახაროვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ი. ა. მალიკი, სსრ კავშირის ელჩი არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში დ. ს. პოჟიდაევი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების განყოფილების გამგე ა. დ. შჩიბორინი.

საუბრების დროს განიხილეს საკითხები, რომლებიც ეხება არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და სხვა არაბული სახელმწიფოების წინააღმდეგ ისრაელის აგრესიასთან დაკავშირებით ახლო აღმოსავლეთში შექმნილ მდგომარეობას.

აგრეთვე განიხილეს საბჭოთა კავშირისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მეგობრული ურთიერთობისა და ძმური თანამშრომლობის შემდგომი განვითარების საკითხები.

დიდი კმაყოფილებით აღინიშნა, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნ. ვ. პოდგორნის ვიზიტი არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში ხელს შეუწყობს ორივე სახელმწიფოს შორის მეგობრული ურთიერთობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცებისა და განვითარების საქმეს საბჭოთა კავშირისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ხალხებს, ასევე მსოფლიოს ხალხთა მშვიდობისა და უშიშრობის განმტკიცების საქმეს. (საკდესი).

ჩვენი ჟურნალების ფურცლებზე

ოქტომბერი და საქართველო

გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეორიულ და პოლიტიკურ ჟურნალ „საქართველოს კომუნისტის“ მორიგი, მეექვსე ნომერი.

ჟურნალში დაბეჭდილია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ვ. პ. ფავანაძის სტატია: „ოქტომბერი და საქართველო“, რომელიც მიძღვნილია დიდი ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავისადმი.

რაც უფრო ეუახლოვდებით დიდი ოქტომბრის 50 წლისთავს, — წერს ამბ. ვ. მეკავანაძე, — მით უფრო მეტად ამყარობს საბჭოთა ხალხი თავის აზრებს, ფიქრებსა და მისწრაფებებს იმ დიადი წლების მოვლენებს, მით უფრო ნათელი ხდება ჩვენთვის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა, რომელმაც დასაბამი მისცა ახალ ერას კაცობრიობის ისტორიაში — კაპიტალიზმის მსხვრევისა და სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვების ერას. დიდმა ოქტომბერმა თავისუფლება მოუტანა ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხს, დარაზმა მშრომელები ეკონომიკისა და კულტურის აღმავლობისათვის საბრძოლველად. ამას ცხადყოფს საბჭოთა საქართველოს მაგალითი.

სტატია ორი თავისაგან შედგება. პირველ თავში მოკლედ მოთხრობილია, თუ როდის და როგორ გაიმარჯვა დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ საქართველოში და დასახელებული არიან ამ სახელოვანი ბრძოლის მონაწილენი. მეორე თავში კი ვეცნობით, თუ რა მოუტანა ოქტომბერმა საქართველოს, როგორ განვითარდა ჩვენი რესპუბლიკის სახალხო ძეურნეობა, მეცნიერება და კულტურა, როგორ ამაღლდა მშრომელთა ცხოვრების დონე და მატერიალური კეთილდღეობა.

საბჭოთა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის 1967 წლის 25 ივნისის პრეს-კონფერენცია

ნიუ-იორკი, 26 ივნისი. (საკადრო). პრეს-კონფერენციის დასაწყისში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს მიესალმნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოადგილე ჰ. როლს-ბენეტი, აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან აკრედიტებულ ჟურნალისტთა ასოციაციის თავმჯდომარე რაჯავანი.

რაჯავანმა მადლობა გადაუხადა ა. ნ. კოსიგინს იმისათვის, რომ დაკმაყოფილა ჟურნალისტთა ასოციაციის თხოვნა და დათანხმდა გამოსულიყო პრეს-კონფერენციაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სესიაზე ნიუ-იორკში ყოფნის დროს. მე გამოვხატავ, თქვა რაჯავანმა, არა მარტო იმათ გრძნობებს, ვინც ამ კონფერენც-დარბაზში შეიკრიბა, არამედ აგრეთვე იმ მილიონთა გრძნობებს, ვინც გვისმენს რადიოთი და გვხედავს ტელევიზიით. მინდა იმედი გამოვთქვა, რომ თქვენი მეცადინეობა და სახელმწიფო მოღვაწეთა მეცადინეობა ხელს შეუწყობს მშვიდობის განმტკიცებას.

შემდეგ სიტყვა ეძლევა ა. ნ. კოსიგინს. მან თქვა:

პატივცემულო ბატონებო,

უწინარეს ყოვლისა მინდა მადლობა გადავუხადო პრესის წარმომადგენლებს, რომ მომიწვიეს შეგხვედროდით აქ დღეს. ბოდიშს ვითხოვ, რომ გაგიფუჭეთ კვირადღე. მაგრამ მე არა მქონდა შესაძლებლობა სხვა დღეს შეგხვედროდით.

ჩვენ ნიუ-იორკში ჩამოვედით, რათა მონაწილეობა მიგვეღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სესიაში, რომელიც მოწვეულია საბჭოთა კავშირის ინიციატივით. ჩვენ შემოვიტანეთ წინადადება მოგვიწყო ეს სესია იმ რთულ ვითარებასთან დაკავშირებით, რომელიც ახლო აღმოსავლეთში შეიქმნა.

ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირმა არა ერთი ნაბიჯი გადადგა ახლო აღმოსავლეთში ომის თავიდან აცილებლად. მაგრამ ამ მეცადინეობას არ მოჰყოლია წარმატება. ისრაელმა განახორციელა აგრესია, და ომი გაჩაღდა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ, ყველა სალმამ, ყველა სახელმწიფომ უნდა გამოიყენოს ყველა შესაძლებლობა, რათა ომი ახლო აღმოსავლეთში არ განახლდეს და არ განვითარდეს კიდევ უფრო დიდი მასშტაბით. თქვენ იცით, რომ მას შემდეგ, რაც მოხდა აგრესია, უშიშროების საბჭომ განახორციელა მთელი რიგი ღონისძიებანი, რათა დაუყოვნებლივ შეწყვეტილიყო ცეცხლი ისრაელსა და არაბულ სახელმწიფოებს შორის. საბჭოთა კავშირი თავის მხრივ აგრეთვე მოქმედებდა ამ მიმართულებით.

ახლა სიტუაცია არ წარმოებს, მაგრამ აგრესორმა-ისრაელმა ჯერ-ჯერობით ოკუპაციის ადგილებიდან ჯარების გაყვანის ნაცვლად, ეს ადგილები ოკუპაციის ქვეშ ჩაიყენა. ეს ფაქტი ეჭვს ბადებს, ისრაელი ამ ადგილებიდან ჯარებს ოკუპაციის ქვეშ ინახავს, ანექსიას ახდენს, ანექსიას ახდენს ოკუპაციის ქვეშ

ზაჰესიდან ენგურჰესამდე





ამ ორ სურათს პირობითად შეიძლება დავარქვათ „ზაჰესიდან ენგურჰესამდე“. მარცხნივ თქვენ ხედავთ ზაჰესის მშენებლობაზე პირველ ამწეს. იგი საზღვარგარეთიდან იყო შემოტანილი. მეორე სურათი კი ენგურჰესის სიდიადეზე მიგვითითებს. ეს არის მძლავრი სამმუშო მანქანა დრაგა 1.

ამ წერილში სამ ისტორიულ თარიღზე გვექნება საუბარი.

1887 წლის დამლევს ქალაქ თბილისში, ქართული თეატრის შენობაში აინთო საქართველოში პირველი ელნათურა. იგი სათავადაზნაურო ბანკის ელექტროსადგურიდან იღებდა ენერგიას. ამ საქმის ინიციატორი და სულისჩამდგმელი იყო დიდი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე.

სამწუხაროდ, საქართველოს პირველი ელექტროსადგურის სურათი ჩვენს ხელთ არ არის. უნდა ვივარაუდოთ, რომ მაშინდელ ფოტოგრაფებს ასეთი სიახლე მხედველობიდან არ გამორჩენიათ. დარწმუნებული ვარ, იგი არქივის ბნელ საცავშია სადმე და ელის თავის მკვლევარს...

სათავადაზნაურო ბანკის ელექტროსადგურს მეფის თვითმპყრობელობისა და მენშევიკების ბატონობის დროს, 34 წლის განმავლობაში, მხოლოდ რამდენიმე პატარა ელსადგური შეემატა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო ჩვენი ქვეყნის მდიდარი ელექტრორესურსების ათვისება. საქართველოს მშრომელებმა ხორცი შეასხეს ვ. ი. ლენინის ბრძნულ მითითებას ელექტროფიკაციის შესახებ და 1927 წლის 26 ივნისს საზეიმოდ გაიხსნა ზაჰესი — საბჭოთა კავშირის მეორე მიდროელექტროსადგური. ეს დიდმნიშვნელოვანი თარიღი დასაწყისია ახალი საქართველოს ელექტროენერგეტიკის დიდი ნახტომისა. ზაჰესს მოჰყვა აბბესი, რიონჰესი, აჯჰესი, სოხუმჰესი, ჩითახევჰესი, გუმათჰესი, ხრამჰესი, ლაჯანურჰესი...

ახლა, საბჭოთა საქართველოს პირმშოს — ზაჰესის დაბადებიდან 40 წლისთავის ზეიმის დღეებში ქართველი ჰიდრომშენებლები შავი ზღვიდან ეგრისის ქედის კალთებამდე გაშლილი ფრონტით უტევენ ბობოკარ ენგურს.

ბრანდიოზულია ენგურჰესის მასშტაბი. უნივერსალურია აკადემიური სამშენებლო ტექნიკა. მის მნახველს უნებლიეთ მაგონდება წარსული, პირველ ყოვლისა ზაჰესი, მისი აშენების სიძნელეები.

ენთუზიასტი საქართველოს პროლეტარიატის ხელმძღვანელი აიგო ზაჰესი — მძლავრ ტექნიკას დაუფლებული კადრები აშენებენ ენგურჰესს.

უცხოური მარკის პატარა ექსკავატორი ეხმარებოდა ზაჰესის მშენებლებს — სამამულო ქარხნების 3 და 4,6 კუბიანი ექსკავატორების ლეგიონია ენგურჰესელთა განკარგულებაში.

ზაჰესისათვის ცხენის ურიკებით მოჰქონდათ ქვიშა და ხრეში არაგვის ნაპირებიდან — ენგურჰესს ინერტულ მასალას საჰაეროსაბაგირო გზით აწვდის 1.500 ტონიანი ოქროსმაძიებელი დრაგა № 1, რომელიც მსოფლიოში პირველად აქ დაეუფლა ამ პროფესიას.

ზაჰესს კაშხალიდან გენერატორამდე 3,5 კილომეტრიანი არხი დასჭირდა — ენგურჰესს 17 კილომეტრი სიგრძის გვირაბი და 25 კილომეტრიანი არხი ექნება, რომელზეც კიდევ ოთხი ელექტროსადგური აშენდება.

ზაჰესის კაშხალის სიმაღლე ორ ათეულ მეტრში ჩაეტია — ენგურჰესის მაღლივი თაღოვანი კაშხალი ერთ-ერთი უნიკალური და უმაღლესი იქნება მსოფლიოში.

ზაჰესზე ბეტონის დღეღამურმა წყობამ 700 კუბურ მეტრს მიაღწია. ეს სარეკორდო რიცხვი იყო მაშინ — ენგურჰესის კაბელ-ამწეები ორ საათში ჩაყრიან ამდენივე ბეტონს კაშხალის ტანში.

ზაჰესიდან 20 კილომეტრიანი სიგრძის სპილენძის სადენებით გადაეცა ელდენი დედაქალაქს — ენგურჰესის სადენები აღმოსავლეთით თბილისს, ჩრდილო-დასავლეთით რუხეთს მისწვდება.

ასე დაურსულებლად შეიძლება მათი შედარება, მაგრამ დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისათვის ყველაზე უფრო საამაყოა ის, რომ ენგურჰესი 50 ზაჰესის ტოლია, ენგურჰესის აშენებას ზაჰესელები 250 წელიწადს „მოუნდებოდნენ“...

ამცირებს ეს ზაჰესს? არა! იგი საბჭოთა საქართველოს წინსვლასა და გამაჯვებაზე მეტყველებს.

...დიდხანს ალბათ ვერც ენგურჰესი შეინარჩუნებს ჩემპიონის სახელს, ჰორიზონტზე ჩანან ახალი, მძლავრი ელექტროსადგურები.

ყოველივე ზემოთქმულს მკაფიოდ გვიხატავენ საქართველოს სსრ კინო-ფოტო-ფონო დოკუმენტების არქივისა და საქმიანის ფოტოქრონიკის ფონდიდან ამოკრებილი სურათები, რომლებიც წარმოდგენილია იუბილესადმი მიძღვნილ გამოფენაზე დაბა ჯვარში.

გ. მანია.

ზეიმების აესკალაციზრდება

დარბაზში ქრება სინათლე და ეკრანზე ვხედავთ ილიჩის ნაცნობ სახეს. ისმის „ავროროს“ ზალპი, იწყება ზამთრის სასახლის იერიში. ასე დაიწყო საბჭოთა ახალგაზრდობის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო თბილისის აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრში.

სცენაზე ადიან რესპუბლიკის კომკავშირული მოძრაობის ვეტერანები, ძველი ბოლშევიკები. ახალგაზრდებს მათი სახელით მიესალმა პარტიის წევრი 1917 წლიდან ვ. ნადარეიშვილი.

ნაწყვეტი ვ. ი. ლენინის სიტყვიდან, რომელიც მან კომკავშირის მესამე ყრილობაზე წარმოთქვა, წაიკითხა თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტმა მ. ეგუთინამ.

ახალგაზრდობას გულთბილად მიულოცეს დღესასწაული თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსაშენებელი ქარხნის ინჟინერმა მ. მღებრიშვილმა, ხელსაწყოთმშენებლობისა და ავტომატიზაციის საშუალებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგემ, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატმა დ. ლუარსაბიშვილმა, სპორტის ოსტატმა მ. მნათობიშვილმა, მეომარმა ტ. ლაითაძემ, რუსთაველის სახელობის თეატრის მსახიობმა ი. გიგოშვილმა, პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა მ. გორალეიშვილმა, 112-ე საშუალო სკოლის მოსწავლემ ლ. დაუშვილმა.

საღამოზე წაიკითხეს მისასალმებელი დეპეშა, რომელიც ქალაქის ახალგაზრდობას გამოუგზავნა თბილისის უმაღლესი სასწავლებლების ყამირზე გამგზავრებულმა 540 სტუდენტმა.

შეკრებილებმა დიდი ინტერესით უყურეს ავჭალის მინის ქარხნის, თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმის, ქარხანა „ელექტროგამზომების“ თვითმოქმედი კოლექტივების გამოსვლას. კონცერტში მონაწილეობა მიიღო ნიჭიერმა მევიოლინემ ი. იაშვილმა.

შემდეგ ზეიმობა გაგრძელდა ქალაქის პარკებსა და ბაღებში, მოედნებზე და ზეიმებში. გაიმართა საზეიმო საღამოები, სეირნობა, „რაც საბჭოთა ახალგაზრდობის დღეს მიეძღვნა. (საქდესი).

საზოგადოება „ცოდნის“ ორგანიზაცია მეცნიერებათა აკადემიასთან

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან შეიქმნა საზოგადოება „ცოდნის“ ორგანიზაცია.

ამ მოვლენას მიეძღვნა 24 ივნისს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დაწესებულებებში მომუშავე საზოგადოება „ცოდნის“ წევრთა საერთო კრება, რომელიც გაიმართა აკადემიის სხდომათა დარბაზში.

კრება გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა ნ. მუსხელიშვილმა.

მოხსენება „საქართველოს მეცნიერთა ამოცანები ცოდნის პროპაგანდის საქმეში“ წაიკითხა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა გ. წერეთელმა.

სიტყვებით გამოვიდნენ აკადემიკოსი თ. დავითაია, პროფესორები ბ. ყურაშვილი, ვ. ფრანგიშვილი, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ თბილისის საქალაქო ორგანიზაციის რეფერენტი ა. ზედგინიძე და სხვები.

კრებამ აირჩია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოება „ცოდნის“ ორგანიზაციის გამგეობა და გამგეობის სარევიზიო კომისია.

გაიმართა ახლადარჩეული გამგეობის სხდომა, რომელმაც აირჩია გამგეობის პრეზიდიუმი. პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულია აკადემიკოსი გ. წერეთელი, მოადგილეებად — აკადემიკოსები მ. საბაშვილი, ვ. მახალდიანი და დოკენტი ო. გვინჩიძე, პასუხისმგებელ მდივნად — ე. კიკნაძე. (საქდესი).

დაიხურა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გამოფენა

22 აპრილს კაცმა დაათვალიერა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კოსმეტიკისა და საყოფაცხოვრებო ქიმიის გამოფენა. ეს ექსპოზიცია უჩვენეს თბილისის ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში. გამოფენამ ათ დღეს გასტანა და კვირას მუშაობა დაამთავრა.

„ლაიპთხენმის“ 20 სახალხო საწარმომ წარმოადგინა მრავალფეროვანი პროდუქცია. შეაჯამა რა გამოფენის შედეგები, გამოფენის კომერციულმა დირექტორმა ლიციან კანტმა კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარფიუმერიამ და ქიმიკოსთა მიღწევებმა თბილისელთა და კერძოდ, სპეციალისტთა დიდი ყურადღება მიიპყრო.

ლ. კანტმა საქდესის კორესპონდენტს განუცხადა, რომ ამ ბოლო ხუთი წლის მანძილზე საგარეო სავაჭრო ორგანიზაციების „დიფჩერ ინენ“ და „საკქემიკალსორტატ“ შორის საქონელგაცვლა ერთიანად გადიდდა. „არის. ყველა წანამძღვარი, რომ გამოფენაზე დადებული კონტრაქტების თანხა მეტად მნიშვნელოვანი იქნება“, — განაცხადა მან.

თბილისამდე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გამოფენა მუშაობდა ბაქოში, ერევანში. საბჭოთა კავშირიდან გამოფენა გაემგზავრება პოლონეთში. მიმდინარე წლის სექტემბერში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კოსმეტიკისა და საყოფაცხოვრებო ქიმიის გამოფენა გაიხსნება მოსკოველი სპეციალისტებისათვის.

(საქდესი).

ვინ მოიგო?

25 ივნისს ცხინვალში კ. ხეთაგუროვის სახელობის თეატრში გაიმართა საქართველოს სსრ ფულლოტა და ნივთების 1967 წლის -მეექვსე გამოშვების ლატარიის მოგებათა ტირაჟი, გათამაშდა 279000 მანეთის ფულადი და ნივთმოგება.

სანამ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნდებოდეს ტირაჟის ოფიციალური ცხრილი, ვბეჭდავთ რამდენიმე დიდი მოგების ნომერს.

ლატარიის ბილეთების მფლობელები ცხრილში პირველ რიგში ეძებენ „ვოლგას“. ვნახოთ, ვის გაუღიმა ბედმა. აი ეს ბილეთებიც — 53749 სერიის № 357 და 54958 სერიის № 369.

ავტომანქანა „მოსკვიჩი“ მოიგეს 52958 სერიის № 308, 53116 სერიის № 369, 54136 სერიის № 404, 54910 სერიის № 214, 55185 სერიის № 260, 55196 სერიის № 396 ლატარიის ბილეთების პატრონებმა.

ავტომანქანა „ზაპოროჟეცი“ ერგო 52870 სერიის № 499, 54057 სერიის № 186 ბილეთებს.

პიანინოების მოგებით გაიხარებენ 52872 სერიის № 184, 52946 სერიის № 291, 53096 სერიის № 335, 53123 სერიის № 041, 53188 სერიის № 480, 53344 სერიის № 064, 53432 სერიის № 417 ლატარიის ბილეთების მფლობელები.

53171 სერიის № 282 ლატარიის ბილეთს ხვდა საბჭოთა კავშირის ქალაქებში სამოგზაურო საგზური. იქნება ამ ბილეთის მფლობელს უყვარს მოგზაურობა, მაშინ ის უთუოდ კმაყოფილი დარჩება.

ლატარიაში გათამაშდა მრავალი ძვირფასი ნივთი — ტელევიზორები, მაცივრები, რადიოლები, საათები, სახვითი ხელოვნების ნაწარმოებები, აგრეთვე დიდი ფულადი მოგებები.

ვ. წილოსანი

ხანმოკლე აღდგომაობის შემდეგ გარდაიცვალა რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, ასევე სანიტარიული ფასკვილების დირექტორი ვალერიან გიორგისძე წილოსანი.

ვ. წილოსანი დაიბადა ქ. თბილისში 1919 წელს მოსამსახურის ოჯახში. 1942 წელს დაამთავრა ქ. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი და იმავე წელს გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში. სამამულო ომის პერიოდში მოქმედ არმიაში მსახურობდა სხვადასხვა ფრონტზე ჯერ ქირურგ-ორდინატორად, შემდეგ ქირურგიული განყოფილების გამგედ.

არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ 1950 წლიდან საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამედიცინო განათლების განყოფილებაში მუშაობდა ჯერ უფროს ინსპექტორად, ხოლო შემდეგ განყოფილების გამგედ.

1956 წლიდან სიკვდილამდე ვ. წილოსანი თბილისის მესამე სამედიცინო სასწავლებლის დირექტორი იყო. ამ თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში მან მთელი თავისი ცოდნა და გამოცდილება მოახმარა საქართველოში სამედიცინო კადრების აღზრდის საქმეს. ვედაგოგიურ, და ორგანიზაციულ მუშაობასთან ერთად იგი ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევითს მუშაობას ეწეოდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრაზე. 1967 წელს ქ. მოსკოვში წარმატებით დაიცვა დისერტაცია და ამავე წელს მიენიჭა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. იგი ავტორია სამეცნიერო ნაშრომებისა მედიცინის აქტუალურ საკითხებზე. ვ. წილოსანი იყო სკკპ წევრი 1943 წლიდან და აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ საქმიანობაში, დაჯილდოებული იყო ორდენებითა და მედლებით.

კარგი მეგობრის, ამაგდარი ადამიანისა და გულისხმიერი ამხანაგის ვ. -ილოსანის ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება მისი მეგობრების გულში.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, სამედიცინო მეცნიერებისა და სასწავლო დაწესებულებათა მთავარი სამმართველო, ქ. თბილისის სამედიცინო სასწავლებლები, მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი.

ეს საინტერესოა

ᲛᲜᲐᲗᲘ ᲩᲐᲜ

ᲛᲝᲑᲠᲫᲐᲜᲓᲘᲗ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲡᲞᲔᲥᲢᲐᲙᲚᲔᲑᲖᲔ

ᲒᲣᲨᲘᲜ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲒᲐᲡᲢᲠᲝᲚᲔᲑᲘ ᲓᲘᲓᲘᲡᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲒᲐᲜ

ᲩᲘᲐᲗᲣᲠᲘᲡ ᲐᲙᲐᲙᲘ ᲬᲔᲠᲔᲗᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘ. ᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲤᲚᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲓᲐᲜᲘᲔᲚ ᲩᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲛᲐᲛᲓᲔᲑᲘ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔ ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ.

ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝᲓ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘᲡ ᲡᲣᲠᲐᲗᲘ ᲩᲕᲔᲜ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ. ᲣᲜᲓᲐ ᲕᲘᲕᲐᲠᲐᲣᲓᲝᲗ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲨᲘᲜᲓᲔᲚ ᲤᲝᲢᲝᲒᲠᲐᲤᲔᲑᲡ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲡᲘᲐᲮᲚᲔ ᲛᲮᲘᲠᲓᲕᲔᲚᲝᲑᲘᲓᲐᲜ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲔᲑᲝᲓᲐᲗ. ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲐᲠ, ᲘᲒᲘ ᲐᲠᲥᲘᲕᲘᲡ ᲑᲜᲔᲚ ᲡᲐᲪᲐᲕᲨᲘᲐ ᲡᲐᲓᲛᲔ ᲓᲐ ᲔᲚᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲕᲐᲠᲡ...

ᲡᲐᲗᲐᲕᲐᲓᲐᲖᲜᲐᲣᲠᲝ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲡᲐᲓᲒᲣᲠᲡ ᲛᲔᲤᲘᲡ ᲗᲕᲘᲗᲛᲞᲧᲠᲝᲑᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲜᲨᲔᲕᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲑᲐᲢᲝᲜᲝᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ, 34 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ, ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲔᲚᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘ ᲨᲔᲔᲛᲐᲢᲐ.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ�გ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲛᲓᲘᲓᲐᲠᲘ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲠᲔᲡᲣᲠᲡᲔᲑᲘᲡ ᲐᲗᲕᲘᲡᲔᲑᲐ. ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘ. ᲔᲡ ᲓᲘᲓᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲗᲐᲠᲘᲦᲘ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲜᲐᲮᲢᲝᲛᲘᲡᲐ. ᲖᲐᲰᲔᲡᲗᲐᲜ ᲛᲝᲰᲧᲕᲐ ᲐᲑᲑᲔᲡᲘ, ᲠᲘᲝᲜᲰᲔᲡᲘ, ᲐᲯᲐᲰᲔᲡᲘ, ᲡᲝᲮᲣᲛᲰᲔᲡᲘ, ᲩᲘᲗᲐᲮᲔᲕᲰᲔᲡᲘ, ᲒᲣᲛᲐᲗᲰᲔᲡᲘ, ᲮᲠᲐᲛᲰᲔᲡᲘ, ᲚᲐᲯᲐᲜᲣᲠᲗᲰᲔᲡᲘ...

ᲐᲮᲚᲐ, ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲘᲠᲛᲨᲝᲡ — ᲖᲐᲰᲔᲡᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲓᲐᲜ 40 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲖᲔᲛᲘᲗ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲰᲘᲓᲠᲝᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘ ᲨᲐᲕᲘ ᲖᲦᲕᲘᲡᲓᲐᲜ ᲔᲒᲠᲘᲡᲘᲡ ᲥᲔᲓᲘᲡ ᲙᲐᲚᲗᲝᲑᲐᲛᲓᲔ ᲒᲐᲨᲚᲘᲚᲘ ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲗ ᲣᲢᲔᲕᲔᲜ ᲑᲝᲑᲝᲙᲐᲠ ᲔᲜᲒᲣᲠᲡ.

ᲑᲠᲐᲜᲓᲘᲝᲖᲣᲚᲘᲐ ᲔᲜᲒᲣᲠᲰᲔᲡᲘᲡ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲘ. ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲐᲚᲣᲠᲘᲐ ᲐᲥᲐᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲐ. ᲛᲘᲡ ᲨᲔᲜᲐᲮᲕᲔᲚᲡ ᲣᲜᲔᲚᲘᲡᲩᲐᲛᲘᲡᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲖᲐᲠᲐᲚᲘ. ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗ ᲨᲔᲣᲡᲐᲑᲐᲛᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲬᲘᲡᲥᲕᲠᲘᲡ ᲝᲥᲝᲠᲝᲛᲨᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲤᲝᲢᲝᲒᲠᲐᲤᲔᲑᲘ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲡᲘᲐᲮᲚᲔ ᲛᲮᲘᲠᲓᲕᲔᲚᲝᲑᲘᲓᲐᲜ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲔᲑᲝᲓᲐᲗ. ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲐᲠ, ᲘᲒᲘ ᲐᲠᲥᲘᲕᲘᲡ ᲑᲜᲔᲚ ᲡᲐᲪᲐᲕᲨᲘᲐ ᲡᲐᲓᲛᲔ ᲓᲐ ᲔᲚᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲕᲐᲠᲡ...

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘᲡ ᲛᲔᲤᲔᲡ ᲗᲕᲘᲗᲛᲞᲧᲠᲝᲑᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲜᲨᲔᲕᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲑᲐᲢᲝᲜᲝᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ, 34 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ, ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲔᲚᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘ ᲨᲔᲔᲛᲐᲢᲐ.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲛᲓᲘᲓᲐᲠᲘ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲠᲔᲡᲣᲠᲡᲔᲑᲘᲡ ᲐᲗᲕᲘᲡᲔᲑᲐ. ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘ. ᲔᲡ ᲓᲘᲓᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲗᲐᲠᲘᲦᲘ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲜᲐᲮᲢᲝᲛᲘᲡᲐ. ᲖᲐᲰᲔᲡᲡ ᲛᲝᲰᲧᲕᲐ ᲐᲑᲑᲔᲡᲘ, ᲠᲘᲝᲜᲰᲔᲡᲘ, ᲐᲯᲐᲰᲔᲡᲘ, ᲡᲝᲮᲣᲛᲰᲔᲡᲘ, ᲩᲘᲗᲐᲮᲔᲕᲰᲔᲡᲘ, ᲒᲣᲛᲐᲗᲰᲔᲡᲘ, ᲮᲠᲐᲛᲰᲔᲡᲘ, ᲚᲐᲯᲐᲜᲣᲠᲗᲰᲔᲡᲘ...

ᲐᲮᲚᲐ, ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲘᲠᲛᲨᲝᲡ — ᲖᲐᲰᲔᲡᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲓᲐᲜ 40 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲖᲔᲛᲘᲗ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲰᲘᲓᲠᲝᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘ ᲨᲐᲕᲘ ᲖᲦᲕᲘᲡᲓᲐᲜ ᲔᲒᲠᲘᲡᲘᲡ ᲥᲔᲓᲘᲡ ᲙᲐᲚᲗᲝᲑᲐᲛᲓᲔ ᲒᲐᲨᲚᲘᲚᲘ ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲗ ᲣᲢᲔᲕᲔᲜ ᲑᲝᲑᲝᲙᲐᲠ ᲔᲜᲒᲣᲠᲡ.

ᲒᲠᲐᲜᲓᲘᲝᲖᲣᲚᲘᲐ ᲔᲜᲒᲣᲠᲰᲔᲡᲘᲡ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲘ. ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲐᲚᲣᲠᲘᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠᲘ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲐ. ᲛᲘᲡ ᲨᲔᲜᲐᲮᲕᲔᲚᲡ ᲣᲜᲔᲚᲘᲡᲩᲐᲛᲘᲡᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲖᲐᲠᲐᲚᲘ. ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗ ᲨᲔᲣᲡᲐᲑᲐᲛᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲬᲘᲡᲥᲕᲠᲘᲡ ᲝᲥᲝᲠᲝᲛᲨᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲤᲝᲢᲝᲒᲠᲐᲤᲔᲑᲘ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲡᲘᲐᲮᲚᲔ ᲛᲮᲘᲠᲓᲕᲔᲚᲝᲑᲘᲓᲐᲜ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲔᲑᲝᲓᲐᲗ. ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲐᲠ, ᲘᲒᲘ ᲐᲠᲥᲘᲕᲘᲡ ᲑᲜᲔᲚ ᲡᲐᲪᲐᲕᲨᲘᲐ ᲡᲐᲓᲛᲔ ᲓᲐ ᲔᲚᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲕᲐᲠᲡ...

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘᲡ ᲛᲔᲤᲔᲡ ᲗᲕᲘᲗᲛᲞᲧᲠᲝᲑᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲜᲨᲔᲕᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲑᲐᲢᲝᲜᲝᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ, 34 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ, ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲔᲚᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘ ᲨᲔᲔᲛᲐᲢᲐ.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲛᲓᲘᲓᲐᲠᲘ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲠᲔᲡᲣᲠᲡᲔᲑᲘᲡ ᲐᲗᲕᲘᲡᲔᲑᲐ. ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘ. ᲔᲡ ᲓᲘᲓᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲗᲐᲠᲘᲦᲘ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ